ეთიკის კომისიის ზეპირი

რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

შეკითხვის კომისიაში შემოსვლის თარიღი - 20.10.23

შეკითხვის რეგისტრაციის ნომერი - 016/23

შეკითხვა:

I - დაირღვევა თუ არა პროფესიული ეთიკის კოდექსი, იმ შემთხვევაში თუ ადვოკატს საქალაქო სასამართლოში ყოფილი კლიენტის წინააღმდეგ აქვს საჩივარი შეტანილი, რაზეც ყოფილმა კლიენტმა დაწერა შესაგებელი, რომელიც შეიცავს ცრუ ფაქტებს და ინფორმაციას ადვოკატის მიმართ, რის გამოც ადვოკატს სურს, რომ დაწეროს პასუხი შესაგებელზე, სადაც მტკიცებულებების სახით თან დაურთავს მასსა და მის ყოფილ კლიენტს შორის არსებულ ელექტრონულ მიმოწერას, როდესაც ისინი იმყოფებოდნენ კლიენტ-ადვოკატის ურთიერთობაში?

II – დაარღვევს თუ არა ადვოკატი პროფესიული ეთიკის კოდექსით გათვალისწინებულ პრინციპებს, თუ საკუთარი საქმიანი რეპუტაციისა და ღირსების დასაცავად, ყოფილი კლიენტის წინააღმდეგ გამოიყენებს იმ ინფორმაციას, რომელიც ყოფილი კლიენტის სისხლის სამართლის საქმისწარმოებისას შეიტყო, როდესაც კლიენტს უწევდა იურდიულ მომსახურებას?

ანალიზი:

I შეკითხვის საპასუხოდ უნდა განიმარტოს, რომ "ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის თანახმად, კანონიერება, საადვოკატო საქმიანობის ერთ-ერთი პრინციპია. ადვოკატმა კეთილსინდისიერი ქმედებებით, მასზე დაკისრებული პოზიტიური ვალდებულებიდან გამომდინარე, უნდა უზრუნველყოს კლიენტთან ნდობაზე დამყარებული ურთიერთობის ჩამოყალიბება და საადვოკატო ურთიერთობის შეწყვეტის შემთხვევაშიც, შეინარჩუნოს პროფესიული ღირსება, თუმცა აღნიშნული არ გამორიცავს ადვოკატის უფლებას, საკუთარი კანონიერი ინტერესები, კანონიერი გზით, დაიცვას.

კონკრეტულ შემთხვევაში, ადვოკატს სურს სასამართლოში მტკიცებულებების სახით წარადგინოს ყოფილ კლიენტთან არსებული მიმოწერა, რომელიც მის მიერ გავრცელებული ცნობების საპირისპიროს დაამტკიცებს.

ეთიკის კომისია განმარტავს, რომ ადვოკატს საკუთარი უფლების დასაცავად უფლება აქვს სასამართლო წარმოებაში, გამოიყენოს კლიენტთან არსებული ის მიმოწერა, რომელიც უშუალოდ ეხება მის სასარჩელო მოთხოვნას და არსებითად არის დაკავშირებული მასთან. ადვოკატის მხრიდან, სხვა საქმესთან კავშირში არ მყოფი ინფორმაციის გავრცელება, შესაძლებელია ჩაითვალოს მისი მხრიდან ეთიკურ გადაცდომად.

II შეკითხვით აღწერილ ფაქტებთან დაკავშირებით, ეთიკის კომისია განმარტავს, რომ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 7.3 და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 4.4 მუხლების თანახმად, ადვოკატს უფლება აქვს გაამჟღავნოს საადვოკატო საქმიანობის დროს მოპოვებული ინფორმაცია, ა) კლიენტის თანხმობისას, ბ) იმ შემთხვევაში, თუ ასეთი ინფორმაციის გამოყენება წარმომადგენლობის ან დაცვის პროცესში აუცილებლია კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე და თუ მისი გამჟღავნება კლიენტს ადვოკატისთვის წინასწარ არ აუკრძალავს გ) თუ ეს აუცილებელია ადვოკატის მიერ მისთვის წაყენებული ბრალდებისგან ან მოთხოვნისგან თავის დასაცავად ან მის მიერ მიუღებელი ჰონორარის თაობაზე სასამართლო დავის არსებობისას.

კონკრეტულ შემთხვევაში, კითხვაში აღწერილი ფაქტების გათვალისწინებით, იმისთვის, რომ ადვოკატმა, პიროვნული უფლებების შელახვასთან დაკავშირებულ სასამართლო დავაში, ყოფილი კლიენტის საწინააღმდეგოდ გააჟღეროს კონფიდენციალური ინფორმაცია და ამავდროულად არ დაარღვიოს ადვოკატის პროფესიული ეთიკა, აუცილებელია მისი ქმედება ჯდებოდეს მუხლის იმ დანაწესში, რომლის მიხედვითაც ადვოკატს აქვს კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნების უფლება, თუ ეს აუცილებელია ადვოკატის მიერ მისთვის წაყენებული ბრალდებისგან თავის დასაცავად რაც, პირველ რიგში გულისხმობს ადვოკატის მხრიდან ისეთი ინფორმაციის გაჟღერებას, რომელიც უშუალო კავშირშია და ემსახურება მხოლოდ მისი კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაცვას. ეთიკის კომისია განმარტავს, რომ ადვოკატს საკუთარი უფლების დასაცავად, სასამართლო წარმოებაში, შეუძლია გამოიყენოს კონკრეტულად ის ინფორმაცია, რომელიც უშუალოდ ეხება მის კანონის დაცვის ღირს ინტერესს და არსებითად არის დაკავშირებული მასთან. ადვოკატის მხრიდან, სხვა საქმესთან კავშირში არ მქონე ინფორმაციის გავრცელება, თუნდაც კლიენტის პიროვნებისა და რეპუტაციის დისკრედიტაციისა და მსგავსი ფორმით, მოსამართლეთა შინაგან რწმენაზე ზეგავლენის მოხდენის მიზნით, ჩაითვლება ადვოკატის მხრიდან ეთიკურ გადაცდომად.

დასკვნა:

ადვოკატს საკუთარი უფლების დასაცავად, სასამართლო წარმოებაში, შეუძლია გამოიყენოს კლიენტთან არსებული ის მიმოწერა, რომელიც უშუალოდ ეხება მის სასარჩელო მოთხოვნას და არსებითად არის დაკავშირებული მასთან.

ადვოკატის მხრიდან არ დაირღვევა პროფესიული ეთიკის სტანდარტები, თუ ის საკუთარი უფლებების დასაცავად სასამართლოში გაამხელს ინფორმაციას, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა ყოფილი კლიენტის საქმისწარმოებისას, თუმცა აღნიშნული ინფორმაცია არსებითად უნდა იყოს დაკავშირებული მის კანონიერ ინტერესებთან და მიზნად არ ისახავდეს კლიენტის პიროვნულ და რეპუტაციულ დისკრედიტაციას.

მითითება: ეთიკის კომისიის მიერ გაცემული რეკომენდაცია არის მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათის მოსაზრება და არ აქვს სავალდებულო ხასიათი.